ალლაჰი აუცილებლად აუკრძალავს სამოთხეს ნებისმიერ თავის მონას, რომელსაც (ალლაჰი) ჩააბარებს პასუხისმგებლობას რომელიმე ხალხზე, მაგრამ ეს ადამიანი მოატყუებს თავის მზრუნველობქვეშ მყოფთ და გარდაიცვალა, მათ მოტყუებაში ყოფნის დროს

გადმოცემულია მა'ყილ იბნ იასაარ ალ-მუზანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: ჭეშმარიტად, მე გავიგონე, თუ როგორ ამბობდა შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): «ალლაჰი აუცილებლად აუკრძალავს სამოთხეს ნებისმიერ თავის მონას, რომელსაც (ალლაჰი) ჩააბარებს პასუხისმგებლობას რომელიმე ხალხზე, მაგრამ ეს ადამიანი მოატყუებს თავის მზრუნველობქვეშ მყოფთ და გარდაიცვალა, მათ მოტყუებაში ყოფნის დროს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ ვინც ყოვლისშემძლე ალლაჰმა დანიშნა მმართველად და პასუხისმგებლად ადამიანებზე, იქნება ეს ზოგადი მმართველობა, როგორც მმართველის შემთხვევაში, ან კერძო მმართველობა, როგორც მამაკაცის თავის სახლში და ქალის თავის ოჯახში, თუ მან უგულებელყო თავისი ვალდებულებები, მოატყუა თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფნი, არ გამოიჩინა გულწრფელობა მათ მიმართ და დაარღვია მათი რელიგიური და მიწიერი უფლებები, ამით მან დაიმსახურა სასტიკი სასჯელი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5335

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee